მინდობილობა N03

წინამდებარე მინდობილობით, მე, **თამაზ შარიქაძე (პ/ნ:01019007389)** როგორც *შპს „შარავანდი"-ს* (ს/კ:208190125) დირექტორი და დამფუძნებელი ვენდობი:

ლადო ჭანტურიას (დაბადებული 10.05.1984 წელს, თბილისში, მის: ქ.თბილისი, მერი დავითაშვილის 27, პირადი ნომერი:01024032026)

ზემოაღნიშნული რწმუნების განსახორციელებლად მინდობილი პირი, უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მინდობილობის გამცემის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი ან/და შესაგებელი სასამართლოებში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, ჩაიბაროს საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და დადგენილებები, გააკეთოს ამონაწერები მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარმოადგინოს თავიანთი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, ნაწილობრივ ან მთლიანად თქვას უარი სარჩელზე,გამოითხოვოს იგი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს (ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს) ნებისმიერი აქტი , წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, წარადგინონ სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, ყველა სახის გარიგებაში, მოაწეროს ხელი ფირმის სახელით, გააფორმოს ხელშეკრულებები, გაასხვისოს ან შეიძინოს ფირმის ქონება, აკონტროლოს ბანკის ანგარიშები, გადაუფორმოს ან გადმოიფორმოს ავტომობილი და ყველა სახის ქონება ფირმის სახელით, განაბაჟოს ტვირთი ,აიღოს სახელმწიფო სანიშნე ნომერი,იყიდოს ან გაყიდოს ავტომობილი, განაბაჟოს ავტომობილი,აიღოს ან შეცვალოს ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობა(პასპორტი) გადაიხადოს თანხა *შპს „შარავანდი"-ს* სახელით. შეასრულოს ყველა სახის ოპერაცია, რომელიც არ არის აკრძალული საქრთველოს კანონმდებლობით და კონსტიტუციით. იყოს *შპს „შარავანდი"-ს* წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში,საჯარო რეესტრში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში.

არავინ არ შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ ამ მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებამოსილებანი ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობის გამცემის ინტერესების დასაცავად იმ საკითხებში, რაც მითითებულია მინდობილობის პირველ ნაწილში.

დირექტორი:
თამაზ შარიქაძე _____
გაცემულია: 03.01.2018

ძალაშია: 31.12.2018

0190, საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი №108; ტელ.: (+995 32) 224 45 45; E-mail: info@sharavandi.com
Kakheti Highway №108, Tbilisi, 0190, Georgia, Phone: (+995 32) 224 45 45; E-mail: info@sharavandi.com